



მე-11 განყოფილება
ძირითადი ფინანსური
ინსტრუმენტები

განსახილველი საკითხები

- სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა
- მოქმედების სფერო
- მე-11 განყოფილების შესავალი
- თავდაპირველი აღიარება და შეფასება
- შემდგომი შეფასება
- აღიარების შეწყვეტა
- განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

- საწარმომ უნდა განსაზღვროს, რომელ მიდგომას გამოიყენებს:
 - ✓ მე-11 და მე-12 განყოფილებებს სრულად, თუ
 - ✓ ბასს 39-ის აღიარებისა და შეფასების წესებს და მე-11 და მე-12 განყოფილებების გამჟღავნების მოთხოვნებს
 - ✓ ფასს 9-ის გამოყენების არჩევანი არ არსებობს
- შერჩეული მიდგომა გამოიყენება ყველა ფინანსური ინტრუმენტისთვის (და არა ინდივიდუალურად)
- მიდგომის შეცვლისას, გამოიყენება მე-10 განყოფილება

მე-11 განყოფილება მოიცავს ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს, გარდა:

- შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საქმიანობაში ინვესტიციებს (განყოფილება 9, 14, 15)
- საწარმოს საკუთარ კაპიტალს (განყოფილება 22 და 26)
- იჭარას (განყოფილება 20) (გარდა აღიარების შეწყვეტისა და გაუფასურებისა, რომლებიც რჩება მოქმედების სფეროში)
- დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების აქტივებს და ვალდებულებებს (განყოფილება 28)
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებს (განყოფილება 26)
- ასანაზღაურებელი აქტივებს, რომლებიც აღირიცხება 21-ე განყოფილების მიხედვით

მე-11 განყოფილების შესავალი

- ❑ **ფინანსური ინსტრუმენტი** არის ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს და მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები:

- ფულადი სახსრები;
- მოთხოვნამდე დეპოზიტები და ფიქსირებულვადიანი დეპოზიტები, როდესაც საწარმო არის დეპოზიტორი, მაგალითად საბანკო ანგარიშები;
- საწარმოს მფლობელობაში არსებული კომერციული სავალო ფასიანი ქაღალდები;
- ანგარიშებთან, თამასუქებთან და სესხებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები;
- ობლიგაციები და სხვა მსგავსი სავალო ინსტრუმენტები;
- სავალო ინსტრუმენტი, რომელიც დაუყოვნებლივ დაფარვას დაექვემდებარება, თუ ემიტენტი არ შეასრულებს პირობებს.
- ინვესტიციები არაკონვერტირებად და არადაბრუნებად პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ აქციებში;

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

- **აღიარდება**, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.
- **შეფასება** თავდაპირველი აღიარებისას:
 - ✓ გარიგების ფასით (თუ გარიგება ხდება საბაზრო პირობებით)
 - ✓ მოიცავს გარიგების დანახარჯებს (აქტივს ემატება და ვალდებულებებს აკლდება), გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც შემდგომ შეფასებული იქნება რეალური ღირებულებით
 - ✓ დღევანდელი ღირებულებით (დისკონტირდება საბაზრო განაკვეთით) თუ შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას:
 - ✓ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, ან
 - ✓ დაფინანსებულია საბაზრო განაკვეთისგან განსხვავებული განაკვეთით

ფინანსური აქტივების შეფასება:

- სხვა საწარმოზე გაცემულ გრძელვადიანი სესხი - მისაღები ფულადი სახსრების (ძირი და პროცენტები) დღევანდელი ღირებულებით.
- მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში - ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასით.
- მომხმარებელზე გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში - საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით, თუ იგი ცნობილი არ არის - მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.
- სხვა საწარმოს ჩვეულებრივი აქციების ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენის შემთხვევაში - აქციების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრების ოდენობით.

ფინანსური ვალდებულებების შეფასება:

- ბანკიდან აღებული სესხი - გადასახდელი ფულადი სახსრების (ძირი და პროცენტები) დღევანდელი ღირებულებით.
- მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში - ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასით.
- ფინანსური ვალდებულება, რომელიც სრულად გადასახდელია მოთხოვნისთანავე (მაგ. არ არის განსაზღვრული დაფარვის თარიღი) - მოთხოვნისთანავე გადასახდელი სრული ოდენობით, დისკონტირების გარეშე.

მაგალითი – თავდაპირველი აღიარება და შეფასება

მაგ 1 (41). საწარმომ გასწია 10 ფე-ის საბროკერო ხარჯები იმისათვის რომ შეეძინა ბირჟაზე რეგისტრირებული სხვა საწარმოს 50 ჩვეულებრივი აქცია 500 ფე-ად. აქციების საბაზრო ღირებულების დადგენა შესაძლებელია.

რა თანხით უნდა შეაფასოს საწარმომ ფინანსური აქტივი?

დ)	ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	500	
კ)	ფულადი სახსრები		500
დ)	გარიგების ხარჯები (მ/ზ)	10	
კ)	ფულადი სახსრები		10

მაგალითი – თავდაპირველი აღიარება და შეფასება

15

მაგ 2 (42). საწარმომ გასწია 10 ფე-ის საბროკერო ხარჯები იმისათვის რომ შეეძინა ბირჟაზე რეგისტრირებული სხვა საწარმოს 50 ჩვეულებრივი აქცია 500 ფე-ად. აქციების საბაზრო ღირებულების დადგენა არ არის შესაძლებელი.

რა თანხით უნდა შეაფასოს საწარმომ ფინანსური აქტივი?

დ) ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში 510

კ) ფულადი სახსრები 510

მაგალითი - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

16

მაგ 3 (55). 2011 წლის 1 იანვარს საწარმომ ბანკისგან აიღო 4 წლიანი სესხი 5,000 ფე-ის ოდენობით. სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8% რომელიც გადაიხდება ყოველი წლის ბოლოს. გარიგების დანახარჯებმა შეადგინა 100 ფე. 8% წარმოადგენს საბაზრო სასესხო განაკვეთს.

რა თანხით უნდა შეაფასოს საწარმომ ფინანსური ვალდებულება?

დ)	ფულადი სახსრები	5,000	
კ)	მიღებული სესხი		5,000
დ)	მიღებული სესხი	100	
კ)	ფულადი სახსრები		100

მაგალითი – თავდაპირველი აღიარება და შეფასება

მაგ 4 (53). საწარმო მომწოდებლისთვის გადასახდელი ვალდებულების დასაფარად სარგებლობს უპროცენტო ოვერდრაფტით 1,500 ფე-ის ოდენობით, ოვერდრაფტი მოთხოვნისთანავე დაფარვადია. ბანკს არ განუცხადებია, რომ უახლოეს მომავალში მოითხოვს დაფარვას . საწარმო არ მოელის ამ თანხის გადახდას წლის განმავლობაში.

რა თანხით უნდა შეაფასოს საწარმომ ფინანსური ვალდებულება?

დ) სავაჭრო ვალდებულება

1,500

კ) ოვერდრაფტი

1,500

- **სავალო ინსტრუმენტები** რომლებიც მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს მიეკუთვნება (მაშინაც კი თუ ის საჯაროდ ივაჭრება):
 - ✓ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.
- **სესხის მიღების ვალდებულება**, თვითღირებულებით (რომელიც ზოგჯერ წარმოადგენს ნულს), გაუფასურების თანხის გამოკლებით;
- **წილობრივი ინსტრუმენტები**, რომლებიც მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს მიეკუთვნება:
 - ✓ რეალური ღირებულებით თუ ივაჭრება საჯაროდ ან რეალური ღირებულება შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ მიზანშეუწონელი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე
 - ✓ ყველა სხვა ინსტრუმენტი - თვითღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით

მაგალითი – შემდგომი შეფასება

19

მაგ 5 (59). საწარმომ გასწია 10 ფე-ის საბროკერო ხარჯები იმისათვის რომ შეეძინა ბირჟაზე რეგისტრირებული სხვა საწარმოს 50 ჩვეულებრივი აქცია 500 ფე-ად. აქციების საბაზრო ღირებულების დადგენა შესაძლებელია. წლის ბოლოს აქციების საბაზრო ღირებულება გაიზარდა 550 ფე-მდე.

როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ ფინანსური აქტივი?

დ) ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში 50

პ) შემოსულობა წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციიდან 50

მაგალითი – შემდგომი შეფასება

მაგ 6 (42). საწარმომ გასწია 10 ფე-ის საბროკერო ხარჯები იმისათვის რომ შეეძინა ბირჟაზე რეგისტრირებული სხვა საწარმოს 50 ჩვეულებრივი აქცია 500 ფე-ად. აქციების საბაზრო ღირებულების დადგენა არ არის შესაძლებელი. დავუშვათ არ არსებობს გაუფასურების რაიმე ნიშნები.

როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ ფინანსური აქტივი?

ინვესტიცია შეფასდება 510 ფე-ად , რადგან არ არსებობს გაუფასურების ნიშნები.

ამორტიზებული ღირებულება:

- თავდაპირველი ღირებულებას
- გამოკლებული ძირის დაფარვა
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ
- გამოკლებული (ფინანსური აქტივებისთვის) გაუფასურების ზარალი ან უიმედო ვალი (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

- **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი გადასახდელი (მისაღები) ფულადი სახსრების დისკონტირებას საბალანსო ღირებულებამდე.
 - ✓ ასევე, უწოდებენ „უკუგების შიდა განაკვეთს“.
- **ამორტიზებული ღირებულება** = მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას.
- **საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი)** = საბალანსო ღირებულება პერიოდის დასაწყისში X ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე.

მაგალითი – შემდგომი შეფასება

მაგ 7. 31/12/2016 თარიღისთვის შეძენილია 5-წლიანი ობლიგაცია 900 ფე-ად, გარიგების დანახარჯი შეადგენს 50 ფე-ს, გადასახდელი პროცენტი - წლიური 40 ფე, სავალდებულო გამოსყიდვის თანხა 01/01/2022 თარიღისთვის შეადგენს 1,100 ფე-ს

წელი	ბალანსი წლის დასაწყისში	პროცენტი 6.958%*	ფულადი სახსრების გადინება/შემოდინება	ბალანსი წლის ბოლოს
2016	-	-	950	950
2017	950	66.10	(40)	976.11
2018	976.11	67.92	(40)	1,004.03
2019	1,004.03	69.86	(40)	1,033.89
2020	1,033.89	71.94	(40)	1,065.83
2021	1,065.83	74.16	(40)	1,100
			(1,100)	0

* იხილეთ გარჩევა მე-11 მოდულში, ფასს ფონდის სატრენინგო მასალაში

მაგალითი - შემდგომი შეფასება

24

	Excel-ის სვეტი A	სვეტი B	
1	31/12/2016	(950)	გამოიყენეთ Excel, რომ გამოიანგარიშოთ უკუგების შიდა განაკვეთი
2	31/12/2017	40	
3	31/12/2018	40	
4	31/12/2019	40	
5	31/12/2020	40	
6	31/12/2021	1 140 (1 100 ძირი + 40 პროცენტი)	
7		6.958%	

უჯრა B7
შეიცავს:
=IRR(B1:B6)

მაგალითი – შემდგომი შეფასება

25

მაგ 7. (გაგრძელება)

31/12/2016

დ) ინვესტიციები ობლიგაციებში	950
კ) ფულადი სახსრები	950

31/12/2017

დ) ფულადი სახსრები	40
დ) ინვესტიციები ობლიგაციებში	26.1
კ) საპროცენტო შემოსავალი	66.1

950 x 6.958%

მაგალითი – შემდგომი შეფასება

26

მაგ 8 (67). 20X1 წლის 1-ელ მაისს საწარმომ დაქირავებულ პირზე სამი წლის ვადით გასცა 500 ფე-ის ოდენობით უპროცენტო სესხი. მსგავს სესხებზე საბაზრო განაკვეთი 5%-ს შეადგენს. საწარმოს ფინანსური წელი მთავრდება 31 დეკემბერს.

როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ ფინანსური აქტივი?

1/05/20X1

დ)	სასესხო მოთხოვნა	431.92
დ)	დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი (მ/ზ)	68.08
კ)	ფულადი სახსრები	500
	$500 \text{ფე} \div (1.05)^3 = 431.92 \text{ფე}$	

31/12/20X1

დ)	სასესხო მოთხოვნა	14.49
კ)	საპროცენტო შემოსავლები (მ/ზ)	14.49
	$431.92 \times 5\% \times 245 \div 365 \text{ დღე}$	

მაგალიტი - შემდგომი შეფასება

მაგ 9 (79). 20X1 წლის 1 იანვარს ბანკმა საწარმოს გამოუყო ოთხწლიანი სესხი 5,000 ფე-ის ოდენობით ჩვეულებრივი საბაზრო პირობებით, წლიური ფიქსირებული 8%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გადასახდელია ყოველი წლის ბოლოს. განეული გარიგების დანახარჯები - 100 ფე.

1/01/20X1 - თავდაპირველი ამორტიზებული ღირებულების გამოთვლა:

წელი	საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	პროცენტი 8.612% ^(a)	ფულადი სახსრების გასვლა	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს
20X1	4,900.00	421.99	(400.00)	4,921.99
20X2	4,921.99	423.89	(400.00)	4,945.88
20X3	4,945.88	425.94	(400.00)	4,971.82
20X4	4,971.82	428.18	(5,400.00)	-

^(a) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - წლიური 8.612%.

როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ ფინანსური ვალდებულება?

მაგალიტი - შემდგომი შეფასება

28

მაგ 9 (79). (გაგრძელება)

1/01/20X1

დ)	ფულადი სახსრები	4,900	
კ)	სესხი		4,900

31/12/20X1

დ)	ფინანსური დანახარტები	421.99	
კ)	სესხი		421.99
დ)	სესხი	400	
კ)	ფულადი სახსრები		400

მაგ 9 (79). *(გაგრძელება)*

20X1 წლის 31 დეკემბერს საწარმომ გადაწყვიტა, რომ სახელშეკრულებო დაფარვის თარიღის ნაცვლად (20X4 წლის 31 დეკემბერი), სესხის ერთ ნახევარს დაფარავს 20X2 წლის 31 დეკემბერს, ხოლო მეორე ნახევარს - 20X3 წლის 31 დეკემბერს. ეს შეამცირებს საპროცენტო გადასახდელებს: 20X3 წელს 200 ფე-ით, და 20X4 წელს პროცენტი არ იქნება გადასახდელი. ხელშეკრულება იძლევა წინასწარ გადახდის უფლებას საწარმოს სურვილისამებრ, შესაბამისად ეს არ წარმოადგენს სესხის პირობების შეცვლას.

როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ ფინანსური ვალდებულება?

მაგალითი - შემდგომი შეფასება

30

მაგ 9 (79). (გაგრძელება)

31/12/20X1 - დღევანდელი ღირებულების გაანგარიშება:

დრო	ფულადი სახსრების გასვლა	დღევანდელი ღირებულება 20X1 წლის 31 დეკემბერს დისკონტირებული 8.612%-ით
31 დეკემბერი 20X2	2,900 (400 + 2,500)	$2,900 \div 1.08612 = 2,670.05$
31 დეკემბერი 20X3	2,700 (200 + 2,500)	$2,700 \div 1.08612^2 = 2,288.80$
მთლიანი დღევანდელი ღირებულება = 4,958.85		

მაგალიტი - შემდგომი შეფასება

31

მაგ 9 (79). (გაგრძელება)

თავდაპირველი გაანგარიშებით 20X1 წლის 31 დეკემბერს
ამორტიზებული ღირებულება = 4,921.99ფე-ს.

სხვაობა = 36.86ფე (4,958.85ფე - 4,921.99ფე)

31/12/20X1

დ)	ხარჯი (მ/ზ)	36.86	
კ)	სესხი		36.86

მაგალითი – შემდგომი შეფასება

მაგ 9 (79). (გაგრძელება)

ახალი ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშება 20X2 წლის 1 იანვარს:

წელი	საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	პროცენტი 8.612% (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი)	ფულადი სახსრების გასვლა	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს
20X2	4,958.85	427.06	(2,900.00)	2,485.91
20X3	2,485.91	214.09	(2,700.00)	–

- **გაუფასურება** გამოიყენება მხოლოდ თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის.
- გაუფასურების ტესტირება უნდა ჩატარდეს თუ არსებობს გაუფასურების რაიმე **ნიშანი**.
- საანგარიშგებო თარიღისთვის უნდა მოიძებნოს მტკიცებულება, რომ რეალური ღირებულება საბალანსოზე ნაკლებია:
 - ✓ მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები;
 - ✓ გადაუხდელობა ან ვადაგადაცილება;
 - ✓ ზენორმატიული სავაჭრო დათმობები;
 - ✓ დებიტორის გაკოტრების, ან რეორგანიზაციის პროცესი.

გაუფასურების შეფასება ხდება:

- **ინდივიდუალურად**, თითოეული წილობრივი ინსტრუმენტისთვის
- **ინდივიდუალურად**, თითოეული სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებიც **მნიშვნელოვანია**
- სხვა სავალო ინსტრუმენტებისთვის, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით

გაუფასურება აღიარდება დაუყოვნებლივ მოგება/ზარალში

გაუფასურების ზარალი ფასდება შემდეგნაირად:

- **სავალ ინსტრუმენტები:** სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (თუ ცვალებადია გამოიყენება მიმდინარე განაკვეთი).
- **წილობრივი ინსტრუმენტები:** სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას შორის, რასაც მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში გაყიდვისას (შეიძლება ნული იყოს).

მაგალითი – შემდგომი შეფასება

36

მაგ 10 (84). 2011 წლის 31 დეკემბერს საწარმოს უფიქსირდება დებიტორული დავალიანება 1000 ფე. იმის გამო რომ დებიტორს შეექმნა ფინანსური პრობლემები საწარმო არ მოელის აღნიშნული თანხის ამოღებას.

როგორ უნდა ასახოს საწარმომ აღნიშნული ფაქტი?

დ) საექვო მოთხოვნების ხარჯი	1,000	
კ) დებიტორული დავალიანება		1,000

ან შექმნას შესაბამისი საექვო მოთხოვნების რეზერვი

დ) საექვო მოთხოვნების ხარჯი	1,000	
კ) დებიტორული დავალიანების ანარიცხი		1,000

გაუფასურების ზარალის აღდგენა :

- თუ თავდაპირველი გაუფასურების გამომწვევი პრობლემა მცირდება ან ქრება, უნდა მოხდეს წინა პერიოდების გაუფასურების კომპენსირება.
- საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა გასულ პერიოდში გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.
- გაუფასურების კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მაგალითი – შემდგომი შეფასება

38

მაგ 11 (89). ფაქტები იგივეა, რაც მე-10 მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, წინა წლის ფინანსური ანგარიშგებების გამოსაცემად დამტკიცების შემდეგ საწარმომ მიიღო 200 ფე მომხმარებლისგან. საწარმო არ მოელის დარჩენილი 800 ფე-ის მიღებას.

როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ აღნიშნული ფაქტი?

თუ სავაჭრო მოთხოვნის საბალანსო ღირებულება პირდაპირ შემცირდა 84-ე მაგალითის მიხედვით:

დ) ფულადი სახსრები (ფინანსური აქტივი) 200

კ) გაუფასურების ბარალის აღდგენა (მ/ზ) 200

მაგალითი – შემდგომი შეფასება

მაგ 11 (89). (გაგრძელება)

თუ სავაჭრო მოთხოვნის საბალანსო ღირებულება შემცირდა „გაუფასურების რეზერვის ანგარიშის“ გამოყენებით:

დ)	ფულადი სახსრები	200	
კ)	სავაჭრო მოთხოვნა		200
დ)	უიმედო ვალის ანარიცხი	200	
კ)	გაუფასურების ზარალის აღდგენა		200
დ)	უიმედო ვალის ანარიცხი	800	
კ)	სავაჭრო მოთხოვნა		800

- **რეალური ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიყიდოს ან დაიფაროს „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში.
- მსს ფასს-ის რეალური ღირებულების შეფასების იერარქია განსაზღვრავს, რომ:
 - ✓ 1 - **კოტირებული საბაზრო ფასი** აქტიურ ბაზარზე
 - ✓ 2 - **ბოლო გარიგების ფასი** იდენტური აქტივისთვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარემოებები შეიცვალა)
 - ✓ 3 - სავარაუდო **შეფასების მეთოდის** გამოყენება

ზოგადად, ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ფასდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **საბაზრო** მიდგომა (მაგალითად, ბაზრის კოტირებული ფასი და ბაზრის მულტიპლიკატორები შესადარის აქტივებზე) და/ან
- **შემოსავლის** მიდგომა (მაგალითად, დღევანდელი ღირებულების მეთოდი და ოფციონის ფასდადგენის მოდელები)

ზოგადად, არ გამოიყენება **დანახარჯების** მიდგომა.

აღიარების შეწყვეტა

აღიარების შეწყვეტა = ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც:

- ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია
- საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება სხვა მხარეზე; ან
- საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ბოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე. ასეთ დროს:
 - შეწყვეტს ძველი აქტივის აღიარებას
 - ცალ-ცალკე აღიარებს ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც მას რჩება ან წარმოიძობა აქტივის გადაცემისას.

ალიარების შეწყვეტა

43

იმ შემთხვევაში თუ გადაცემა არ იწვევს ალიარების შეწყვეტას, ხდება საბუღალტრო ჩანაწერებში გადაცემული აქტივის შენარჩუნება, ხოლო მიღებული ანაზღაურება ალიარდება ფინანსურ ვალდებულებად.

არ ხდება ურთიერთგადაფარვა

მაგალითი – აღიარების შეწყვეტა

მაგ 12(96). საწარმომ მესამე მხარეს 18,000 ფე-ის სანაცვლოდ მიყიდა სავაჭრო მოთხოვნები, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 19,000 ფე (20,000 ფე ჯამურ თანხას გამოკლებული 1,000 ფე „უიმედო ვალების ანარიცხები“). საწარმო და მესამე მხარე, საწარმოს გამოცდილების საფუძველზე აფასებენ, რომ მთლიანი სავაჭრო მოთხოვნებიდან 19,000 ფე დაითვარება, თუმცა, საწარმოს მესამე მხარისთვის არ მიუცია გარანტია კონკრეტული თანხის ამოღებაზე. სავაჭრო დებიტორები გადაუხდიან საწარმოს და საწარმო გადასცემს ყველა მიღებულ თანხას მესამე მხარეს. საბოლოოდ, ერთი მომხმარებლის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების გამო ფაქტობრივად ამოღებული იქნა მხოლოდ 17,000 ფე.

როგორ უნდა ასახოს საწარმომ აღნიშნული ოპერაცია?

მაგალითი – აღიარების შეწყვეტა

45

მაგ 12 (96). (გაგრძელება)

მოთხოვნების გაყიდვა

დ)	ფულადი სახსრები	18,000
დ)	ზარალი სავაჭრო მოთხოვნების გაყიდვიდან	1,000
კ)	სავაჭრო მოთხოვნა	19,000

მოთხოვნების ამოღება მესამე მხარის სასარგებლოდ

დ)	ფულადი სახსრები	17,000
კ)	მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხა	17,000

მესამე მხარისთვის თანხის გადახდა

დ)	მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხა	17,000
კ)	ფულადი სახსრები	17,000

მაგალითი – აღიარების შეწყვეტა

მაგ 13 (97). ფაქტები იგივეა, რაც მე-12 მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, საწარმო გადასცემს მიღებულ თანხას მესამე მხარეს მაქსიმუმ 19,000 ფე-მდე. ასევე, თუ მიღებული თანხები ნაკლები იქნება 19,000 ფე-ზე, საწარმო მოახდენს სხვაობის კომპენსირებას. რადგან სავაჭრო მოთხოვნის მხოლოდ 17,000ფე-ის ამოღება მოხდა, საწარმო დამატებით 2,000 ფე-ს უხდის მესამე მხარეს.

როგორ უნდა ასახოს საწარმომ აღნიშნული ოპერაცია?

მოთხოვნების გადაცემიდან თანხის მიღება

დ)	ფულადი სახსრები	18,000
კ)	სესხი	18,000

სესხის ვადის განმავლობაში

დ)	საპროცენტო ხარჯები	1,000
კ)	სესხი	1,000

- ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:
 - ✓ დაიფარება;
 - ✓ გაუქმდება, ან
 - ✓ ვადა გაუვა.
- თუ არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება ან არსებული ვალის ჩანაცვლება ხდება სხვა ვალით, რომლის პირობები არსებითად განსხვავდება:
 - ✓ უნდა მოხდეს თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანულირება და ახლის აღიარება
- მოგებაში ან ზარალში აღიარდება დაფარული ან სხვა მხარისათვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობა.

- უნდა მოხდეს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება.
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა მოხდეს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გამჟღავნება კატეგორიების მიხედვით:
 - ✓ ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით;
 - ✓ სავალ ინსტრუმენტი (აქტივი) შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით;
 - ✓ წილობრივი ინსტრუმენტი (აქტივი) შეფასებული თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურება;
 - ✓ ვალდებულებები რეალური ღირებულებით;
 - ✓ ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით;
 - ✓ სესხის გაცემის ვალდებულებები, შეფასებული თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურება.

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ვადები, პირობები და შეზღუდვები;
- რეალური ღირებულებით აღრიცხულებისთვის, რეალური ღირებულების შეფასების დეტალები;
- იმ ფინანსური აქტივების დეტალები, რომელთა გადაცემამ არ გამოიწვია აღიარების შეწყვეტა;
- უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ფინანსური აქტივების დეტალები;
- სესხების შეუსრულებლობისა და ვადების დარღვევის დეტალები.

შემოსავლის, ხარჯის, შემოსულობებისა და ზარალის მუხლები:

- რეალური ღირებულების ცვლილება ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია **რეალური ღირებულების მოდელით**;
- ჯამური **საპროცენტო შემოსავალი** და ჯამური **საპროცენტო ხარჯი** ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულების მოდელით;
- **გაუფასურების ზარალი** ფინანსური აქტივის კლასის მიხედვით.

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტებს აჯგუფებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა და ბიზნეს მოდელის მიხედვით 3 ჯგუფად: რეალური ღირებულების მოგებაში ან ბარალში ასახვით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9 არ იძლევა რომელიმე ინსტრუმენტის თვითღირებულებით შეფასების შესაძლებლობას.
- ფასს 9-ში გაუფასურების მოდელი ეფუძნება მოსალოდნელ ბარალებს და მნიშვნელოვნად განსხვავდება მე-11 განყოფილების გაუფასურების მოდელისგან, რომელიც ეყრდნობა დამდგარ/მომხდარ ბარალს.